ცნობის ფურცელი

VIII. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 შაბათი, 6 იანვარი № 1347

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფაი განცხადებისა: ერთ სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ანჩის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.

3 იანვარს, ღამის სამ საათზედ, მოულოდნელად გარდაიცვალა

ეკატერინე თადეოზის ასული სტაროსელსკისა,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ შვილები და შვილის-შვილები განსვენებულისა.

პანაშვიდები ყოველ დღე შუადღის 1 საათზე და საღამოს 8 საათზე. გარდაცვალებულის გვამს გამოასვენებენ სადგომიდან კვირას, 7 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზე. წესის აგება და დაკრძალვა მოხდება ს. საგურამოში 8 იანვარს.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 11 იანვარს 1901 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ქ-ნი ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ

ბედნიერი დღე

კომედია 3 მოქმ. თხზ. ოსტროვსკისა და სოლოვიევისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

მე მინდა კნეინა გავხდე

კომედია 2 მოქმედ. თხზ. ზ. ანტონოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელისა, ნებიერიძისა, მდივანი და გარელი; ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, მირიანოვი, იმედაშვილი, ავალიანი, და სხ.

დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ოპერეტის არტისტები ბ. თუმანსკი და ბოკოვი: ბ.ბ. ბარათაშვილი და ქართველიშვილი.

დასაწყისი 8 საათზედ. რეჟისორი **ვ. ბუნია.**

1901 წლისათვის
მიიღება ხელის მოწერა
„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

ყოველ თვიური ჟურნალი „მ ო ა მ ბ ე“ (წელიწადი მერვე)		ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (წელიწადი მეექვსე)	
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:		**ფასი გაზეთისა გაგზავნით:**	
კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:	კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:
1 წლით . . . 10 მ.	1 წლით . . . 13 მ.	1 წლით . . . 6 მ.	1 წლით . . . 9 მ.
6 თვით . . . 6 „	6 თვით . . . 7 „	6 თვით . . . 4 „	6 თვით . . . 7 „
3 „ . . . 3 „	3 „ . . . 5 „	1 „ . . . 75 კ.	1 „ . . . 90 კ.
წლიური ფასის განაწილება:		**წლიური ფასის განაწილება:**	
შირგელად—5 მანეთი, 1-ლ აპრილამდე—3 მანეთი და 1-ლ სექტემბრამდე—2 მანეთი.		**შირგელად—3 მანეთი, შირგელ აპრილამდე—3 მანეთი. თითო ნომერი—3 კაპ.**	

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ ვაევზავნება, მხოლოდ ქალაქ ვარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4—5 კაპ.; თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

რედაქცია იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში. ტელეფონი № 372.

შაბათს, 6 იანვარს 1901 წ., ტფილისს „კრუჟოკის“ დარბაზში გამართულ იქმნება

ბალი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის თანხის გასაძლიერებლად.

ბილეთი ღირს 2 მან. და 10 კაპ.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბა სავალდებულო არ არის. სამხედრო კაცთათვის ჩვეულებრივი ტანისამოსი და დანარჩენებისთვის ფრაკი და ნაციონალური ტანისამოსი.

ბილეთები იყიდება „კრუჟოკის“ შვეიცართან. (8 – 8)

გამოვიდა და ისყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

საქართველოს ისტორია

აკადემიკოსის ბროსსესი, ფასი 70 კაპ.

თარგმნილი ს. დოდობერიძისა, გამოცემული ნ. დოდობერიძის მიერ.

იქვე ისყიდება იმავე თხზულების პირველი ნაწილი, ფასი 70 კაპ. (5—4)

ტფილისის გერძო სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

დ ი ღ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე — კბილის სნეულებანი 8—10 სასთამდე.

მიხეილ ს. გედევანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით — 9—10 ს.

ნ. ს მუღინი — ყურისა, ყელისა და ცხვირისა — 10—11 სასთამდე.

ი. ბ. ახალშენიშვილი — კბილის სნეულებანი — 10—2 სასთამდე.

ს. ნ. შატილოვი — თვალისა 11—12 ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვებისა 11—12 ს.

დ. ს. გედევანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი — 12—1 სასთამდე.

ვ. დ. მარკევიჩი — სადასტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ სასთამდე, სამშაბათობით 3—4 სასთამდე.

ი. დ. ბეგთაბეგოვი — სიფილისისა, კანისა და სასქარდესი — $1^1/_2$—2 სასთამდე

ფელეტონი

ცხოვრება და ხელოვნება

XIX საუკუნე საქართველოს ლიტერატურისათვის

საუკუნეთა წყებიდას მიემატა ერთი საუკუნეც — მე-XIX საუკუნე და აწ მის წინამორბედ უფროსს თანამოძმეთ წარუდგება განსასჯელად.

არსებითი განსხვავება მე-XIX საუკუნისა ახალ საუკუნეთაგან იმაშია, რომ იგი უფრო მოხუც მოდგმას ეკუთვნის. მე-XVI საუკუნე საწმუნოებრივის ცვლილებებით, საბერძნეთისა და რომაულის კულტურის ნაშთის განახლებით, ხელოვნებათა აღყვავებით, არა ნაკლებ დიდებული იყო, ვიდრე წარსული მე-XIX საუკუნე; მისი უპირატესობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ ბავშვურის სიცოცხლითა და გატაცებით იყო აღსავსე.

მე-XVII საუკუნე დინჯი და მოწიფული ვაჟკაცი იყო. მეთვრამეტე—კაცის მეორე ახალგაზდობას მოგაგონებდათ თავისის აღლვებულის მოქმედებით, დაუდგრომლობით და მოუსვენრობით, მაგრამ მის ძარღვებში მაინც მობერებული სისხლი იდგა დიდის ოჯახის შვილისა, და აი ამ საუკუნემ დაბადა მეცხრამეტე, შესახედავობით ვითომ და მრთელი, ჯანსაღი ყრმა, მაგრამ სისხლი და ძარღვები კი ამას სხვებზე უფრო მოძველებული და მოდუნებული დაჰყვა. მეცხრამეტე საუკუნე ევროპის ქრისტიანულის კულტურის დაცემის ხანად უნდა ჩაითვალოს, ისე, როგორც ძველის ბერძნულ-რომაულის კულტურის უკანასკნელი საუკუნეები. ასეთი შედარება მეცხრამეტე საუკუნისა რომისა და საბერძნეთის დაცემის ხანებთან ძალაუნებურად მოგადგება კაცს ენაზე. ხოლო ის ინტერესი, რომელიც აღძრულია ევროპაში ამ უკანასკნელ დროში ძველის კულტურის დაცემის ეპოქისადმი, არა მცირე საბუთია იმისი, რომ ეგრეთი მსგავსება არსებობს. კერძოდ ჩვენთვის, საქართველოსათვის, მეცხრამეტე საუკუნე, ასე ვსთქვათ, არც კი არსებობს. საქართველო, როგორც პოლიტიკური არსება მოისპო მეცხრამეტე საუკუნის პირველსავე წელიწადში. მეცხრამეტე საუკუნიდან ქართველ ერს თავისი სრული ცხოვრება აღარა ჰქონია, იგი სხვის მფარველობის ქვეშ ცხოვრობდა

ჩვენ თუ ჩვენისავე ნებით დავუმორჩილდით ჩვენ მეზობელ საქრისტიანო ერს, ამით ისტორიულად აუცილებელის მსვლელობის საქმე ცოტათი დავაჩქარეთ, აღარ ვიხმარეთ ყოველი საშუალება ნიშანში ამოღებულის ვეყნის საშველად, არამედ პირდაპირ აღვასრულეთ ის, რაც, „ადრე იქნებოდა თუ გვიან“, მაინც უნდა მომხდარიყო. ჩვენ აქ მხოლოდ ის შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ საქრისტიანო ერს, რომლის კალთის ქვეშაც ჩვენ გამგეთ თავი მიიფარეს, საქმე გავუადვილეთ და დიდი შრომა და ჯაფა ავაცილეთ, კიდევაც დიდი შემწეობა აღმოვუჩინეთ იმ საქმეში, რომელიც მისი ისტორიულის მსვლელობის მიუცილებელი მიზანი იყო.

ამგვარად ქართველი ერი ამ ასის წლის განმავლობაში სცხოვრობდა არა სავსებით, არამედ ვაივაგლახით მიჩანჩალებდა. მთელი მისი მოქმედება, აზრი, ფიქრი, მისწრაფება მარტო ერთ რამეში იხატებოდა—ლიტერატურაში და ისიც ლიტერატურის ერთ დარგში—სიტყვაკაზმულ მწერლობაში *) პოლიტიკური და ეკონომიური ცვლილებანი მოხდა გარეშე ჩვენის მონაწილეობისა და გავლენისა, და უფრო ერთი ამ ცვლილებათაგანი ჩვენ თოფის სიახლოვეზედაც არ მოგვკარებია. მეცნიერულ-ფილოსოფიურის მსვლელობისაც კი სრულიად გარეშე მაყურებლად დავრჩით: სასულიერო და საერო აკადემიები და უნივერსიტეტები—ეს მეცნიერებისა და ფილოსოფიის ნავთსადგურნი—სხვა-და სხვაგვარი სკოლები ჩვენს ხელში არ არის და ჩვენს გავლენას სრულიად აცილებულია.

სიტყვა კაზმული მწერლობა შეიქმნა ერთად-ერთი მხარე ცხოვრებისა, რომელიც ამ ცხოვრების უტყუარი გამომხატველი იყო.

უმთავრესი ტონი ჩვენის მწერლობისა არის ღრმა პესსიმიზმი, ხანდისხან ქრისტიანობრივის მოთმინებით აღჭურვილი (ნ. ბარათაშვილი). ხანდისხან მხნე და გამბედავი (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი), უმეტესად კი უსაზღვრო, დაუსრულებელი რადიკალური, უსასო და უიმედო (ჭავჭავაძეები და ჩვენი ახალი მწერლები), მთელი ჩვენი მწერლობა გაჟღენთილია ძირითადის პესსიმიზმით, ეს პესსიმიზმი ხან ლბილია და გულ-ჩვილი, ხან სასტიკი და მძაფრი.

მართალია, ამ საუკუნის ლიტერატურის უმთავრესი ხასიათია ჰ. სიმიზმი, ის ღრმა კვნესა და გოდება, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში განუწყვეტლად ისმის, უსაქმურთა და მოცლილთა გამოგონილი კი არაა, მთელის ერის სულის განწყობილების გამომსახველია, საერო ნიადაგზედ აღმოცენილი.

ამ კვნესის დამწყები, უიმედობით აღსავსე და უსასოებით შებოჭვილი ალ. ჭავჭავაძე „ჩაღლევაში“ იძიებს თავის დავიწყებას

*) პუბლიცისტური ლიტერატურა, როგორც პოლიტიკურისა და საზოგადოებრივის მოქმედების იარაღი, ჩვენში არ ყოფილა ამ ხანში.

ს ა დ ს მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 5 — 6 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კ.; ოპერაციები — მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ბირდამარ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი

(წლ.) მიხეილ გედევანიშვილი

სასიამოვნო ამბავი

—

ახალი საუკუნე მეტად სასიამოვნო ამბით იწყება. გაზეთი „ნოვოსტი“ იტყობინება, რომ განსაკუთრებულმა კომისიამ დაამთავრა საშუალო სასწავლებლის პროგრამის გადასინჯვა და შეიმუშავა ახალი ტიპი ამგვარის სასწავლებლისაო. როგორც სჩანს გაზეთის მოკლე ცნობიდან, ახალი პროექტი დიდმნიშვნელოვან ცვლილებას მოახდენს ახლანდელს კლასიკურს სკოლაში და საგრძნობლად გააუმჯობესებს საშუალო სწავლის საქმეს.

აღსრულდა დიდი ხნის ლოდინი მთელის რუსეთის საზოგადოებისა, აღსრულდა სურვილი საუკეთესო პედაგოგთა, დედ-მამათა ბ ყველა იმათი, ვისაც გული სტკივოდა მოზარდ თაობისათვის! ეხლანდელს კლასიკურს სისტემას, რომლის ძალით ბავშვს სწავლის დაწყებისთანავე ხელში აძლევდნენ ლათინურისა და ბერძნული ენების გრამატიკას, დიდი ხანია წესი აუგეს პედაგოგიურსა და საზოგადო ლიტერატურაში, მაგრამ რუტინას დიდი ძალა აქვს და ამიტომ დასავლეთ ევროპაში და რუსეთშიაც ვერ უბედავდნენ კლასიციზმს ცოტაოდენ შერყევასაც. გამოცდილებამ უტყუარად დაამტკიცა, რომ ძველი ენების სწავლება ჰღალავს და ასუსტებს ბავშვის გონებას, რომ მათის წყალობით ბავშვი ველარ იძენს სხვა, უფრო საჭირო და დროის შესაფერ ცოდნას. მაგრამ საშუალო საუკუნეების ანდერძის ღალატი ევროპამ ვერ გაბედა. დიდი შრომა და ენერგია დასჭირდა განათლებულ საზოგადოებას ევროპაშიაც, რომ შეერყია ძველთაგან გადმოცემული ავტორიტეტი კლასიკურის სკოლისა და მხოლოდ უკანასკნელ დროში დაიწყო რეფორმატული მოძრაობა საშუალო სკოლის საქმეში. ამ მოძრაობამ ყველა სახელმწიფოებში იჩინა თავი, და რუსეთშიაც მე-80 წლების მეორე ნახევარში დიდი ყურადღება მიაქციეს საშუალო სწავლის საქმეს. მთავრობამ დააწესა კომისია, რომელსაც მიენდო დიდი საქმე პროგრამის გადასინჯვისა. მთელი საზოგადოება ასულგანაბული ადევნებდა თვალყურს ამ კომისიის მუშაობას და ხან იმედით, ხან სასოწარკვეთილებით ივსებოდა იმის მიხედვით, თუ როგორი ცნობები იბეჭდებოდა გაზეთებში. ამ ჟამად კი ყველას შეუძლიან თავისუფლად ამოისუნთქოს, რადგანაც კომისიის გარდაწყვეტილება კიდევაც აჭარბებს უმრავლესობის მოლოდინს...

როგორც სჩანს „ნოვოსტი“-ს ცნობიდან, კომისიის განზრახვით, ძალიან უნდა შესუსტდეს ძველი ენების პროგრამა. დღეს საშუალო კლასიკურს სკოლაში ლათინური ენის სწავლება 1-ლ კლასიდან იწყება, ხოლო ბერძნულისა — მესამე კლასიდან. ახალის პროექტით კი ლათინური ენა უნდა ასწავლონ მესამე კლასიდან, ბერძნული კი მეხუთედან. ეს — დიდი შეღავათია. წარმოიდგინეთ, რა ჯაფა ადგება ხოლმე ბავშვს, რომელიც 1-ლ კლასიდანვე, როდესაც თავისი ენაც არ იცის ხეირიანად, ტვინს უმძიმებენ მკვდარი ენის ფორმებით, და აღვილად მიხვდებით, რომ განზრახული რეფორმა საგრძნობელი შეღავათია! მესამე და მეხუთე კლასში ბავშვი უფრო შეგნებულად სწავლობს, მისი ტვინი უფრო გავარჯიშებულია და ამიტომ ისე აღარ გაუძნელდება ძველი ენების შესწავლა, როგორც სწავლის დაწყების დროს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ახალი პროექტი საკმაოდ ამცირებს ძველი ენების სწავლების დროს და მაშინ უფრო ცხადათ გვეხატება განზრახულ რეფორმის დიდი მნიშვნელობა.

ძველი ენების მაგიერ, პროექტის აზრით, უნდა გაძლიერდეს რუსული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება; საველდებულო უნდა გახდეს ორივე ახალი ენების სწავლება და აგრეთვე, თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილების თანახმად, უნდა შემოღებულ იქმნენ ბუნების მეტყველობის საგნები. ეს პროგრამა, რასაკვირველია, უფრო დროის შესაფერისია და გააცხოველებს საშუალო სკოლას. გარდა ამისა, ეგზამენების საქმეც იცვლება: დარჩება მხოლოდ მისაღები და კურს დასასრულებელი ეგზამენები, ხოლო კლასიდან-კლასში გადასასვლელ ეგზამენებს დაუნიშნავენ მხოლოდ სუსტებს და მარტო იმ საგნებში, რომლებსაც სუსტად სწავლობენ.

ასეთია ახალი პროექტი, რომლის შინაარსს მოკლედ გვაცნობებს ხსენებული გაზეთი. პროექტი ეხლავ წარედგინება სახელმწიფო საბჭოს, რათა თებერვლის სესსიაში იქმნას განხილული. თუ ეს ასე იქნა და თუ პროექტი დამტკიცდა, რაშიაც ეჭვი არ არის, მაშინ მოკლე ხანში უნდა ველოდეთ რეფორმის განხორციელებას ქვეყნის სასარგებლოდ და საყოველთაო სასიხარულოდ.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

4 იანვარი

პეტერბურგი. 4 იანვარს პეტერბურგიდან ორლოვის გუბერნიაში წაბრძანდა ხელმწიფე მემკვიდრე. მის იმპერატორებით უმაღლესობას თან ახლავს ვრაფი ვორონცოვ-დაშკოვი.

იოჰანესბურგი. ხმა დადის, რომ დეეტი გადავიდა მდ. ვაალზე და მას შეუერთდნენ. ტრანსვაალელ ბურების რაზმები. შემდეგ მოსულ ცნობების მიხედვით, ბურებმა უკუ-ქცევის დროს, — მას შემდეგ, რაც უნაყოფოდ მიიტანეს იერიში ცურ-ფონტეინზე და კაალფონტეინზე, დიდი ზარალი ჰნახეს; ჰფიქრობენ, რომ მათ 60-მდე მოკლული და დაჭრილი ჰყავთ.

კაპშტადტი. ბურები შეცვინდნენ ებერლინში, გრააფრეინეტის სამხრეთით ორმოცი მილის სიშორეზე.

ბულვერგმტოლნი. აქაურ სავაჭრო პალატაში როზბერიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ის აზრი გამოსთქვა, რომ სავაჭრო პალატებმა უნდა დააყენონ მეთვალყურე კომისიები, რათა მოსამზადებელი ზომები იქმნეს მიღებული მომავალ დიდ საერთაშორისო სავაჭრო ბრძოლისათვის. ინგლისის ერი მძლავრად მიდის შესახვედრად მომავალისა, რომელიც ჯერ უცნობია. მთელი ევროპა შეიარაღებულია; მილიონები იხარჯება სამხედრო გამოცდილებისათვის, რომელთაც ცოტა შედეგი აქვთ. ფასი, რომელიც ჯდება ომით ახალ ტერიტორიების შეძენა, ბევრად დიდია დაპყრობილ ქვეყნების ღირებულობაზე. ამისთანა პირობებში არც ერთი სახელმწიფო არ დაიწყებს ომს ტერიტორიების შესაძენად. ამიტომ ორატორს იმედი აქვს, რომ კრიზისის დაწყებისას, ომზე კრინტსაც არ დასძრავენ, რადგან ომი უფრო ხშირად გულისთქმათა მიზეზით ასტყდება ხოლმე, მაშინ, როდესაც სავაჭრო-სამრეწველო საქმეები, რომელთაგან დამოკიდებულია ხალხების კეთილ-დღეობა, დამყარებულნი არიან გონებაზე. როზბერი უმატებს, რომ საგონებ ჰმართავს ხალხს ომი ნაკლ მოსალოდნელია. მეოცე საუკუნეში კი შეეხება მხოლოდ -ხმრეულ ბრძოლ ამ ნიადაგზე [illegible] გერმანია ყველაზე საშიში მეტოქენი. ორ ტორი ქებით იხსენიებს ორივე სახელ ფოს და შემდეგ ენერგიულად თხოულო რათა გაუმჯობესებულ იქმნას ინგლის საკომერციო ტეხნიკური სწავლის საქმე.

5 იანვარი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატომა კ თილ ინება ვიატკის ეპარხიის ვიკარი ყო ლად უსამღვდელოესი სარატოვლისა ნიკოლ მი დაინიშნოს პრიამურის და ბლაგოვ ჩენსკის ეპარქიის ეპისკოპოსად.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება დაამტკიცა ტფილისის სასულიერო სემინ რიის რექტორი არქიმანდრიტი ჰერმოგ ნი ვოლსკის ეპისკოპოსად, სარატოვ ეპარქიის ვიკარად.

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება დაამტკიცა ყოვლად უსამღვდელოესი ომ კის ეპისკოპოსი გრიგორი მოსკოვის სინ დის კანტორის შტატ გარეშე წევრად, ამა თანავე განთავისუფლებულია ეპარქიის მმა თვისაგან.

მათეისფოლტენი. 100 ბური შევიდ სედერლანდში, გაიფუჭა ტელეგრაფის მ თულები და გაძარცვა დუქნები.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება პრეტო რიიდან, რომ კაროლინის ახლოს 3,000 ბ რი შეერთდა. კოლვილის მსწრაფელ-მოძრ რაზმს ვენტერსგრუდერსგეკეს ახლოს ჰქონ ბრძოლა ბურებთან, რომელთაც დიდის ზარ ლით დაიხიეს უკან. გუშინ სამასი ბური შევიდ ებერდინში, გრაფრეინეტის სამხრეთ-დასა ლეთით და გაძარცვეს დუქნები. ქვეითა ჯ რის ასი კაცი და რამდენიმე ცხენოსანი შ მოვიდნენ ნაშუადღევს ქალაქში; იმათ დან ხვაზედ ბურებმა უკან დაიხიეს.

სტანდერტი. სტეინი, რომელსაც აქაურ მა ბურებმა მიანდვეს, რომ დაიყოლიოს აჯან ყებული ბურები იარალის აყრაზე, დაატუს ღეს, და მიიყვანეს პიეტრეტოფში; იმას ს ხელმწიფო დალატს აბრალებენ.

ლონდონი. აქ ხმა მოვიდა, რომ კუნძულ ცეილონიდან რამდენიმე ტყვე ბური გაქცე ულაო.

კაპშტადტი. სამხედრო წესები შემო იღეს ყველა ოლქებში, გარდა კაპშტადტისა, სიმოსტოუნისა, ბინბერგისა, პორტ-ელი ზაბედისა, ისტ-ლონდონისა, ტრანსკეისა, ტ მბულანდისა და გრიკუანლანდსტისა. გ მოიცა პროკლამაცია, რომელიც უკრძ

და პოეტიკულ ეპიკურეიზმს მისდევს დარდების გასაქარვებლად. მაგრამ საყვარლის ვნებით აღსავსე კოცნა გამწარებული აქვს ჰაერში გაკრცელებულის კვნესისა და გოდების ხმებით და ღვინით სავსე ჭიქის ძირშიაც ძიმწარეს იგემებს თავდავიწყების მაგიერ.

ჩვენის ერის გმინვის განხორციელებული გენიოსი, სულით მშვენიერი და სულითვე ობოლი პოეტი, „გულ დახურულთა“ მეგობარს — მთას მიჰმართავს და მაში იძიებს თანამგრძნობ მეგობარს; აღშფოთებულის „სულით მაშვრალის“ მგოსნის ფიქრი ცის სივრცის იქით ბილტვის იმედისა და ნუგეშის მოსაპოვებლად. და ბოლოს გულ-მოწყლული და სასოწარკვეთილებით აღსავსე პოეტი გარდასწყვეტს „მოჰშორდეს მამულს, მოაკლდეს სწორთა და მეგობარსა, აღარ იხილოს მშობელი და სატრფო ტკბილ მოუბარი, აღარ დაიმარხოს მის მამულში, მისთა წინაპართ საფლავთა შორის“, ამის ნაცვლად ამბობს გამწარებული მგოსანი:

„შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის
„და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით ღრიალით მიწას მომაყრის.
„სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ცვარნი ციურნი
„და ნათესავთა გლოვისა ნაცვლად, მივალალებენ სვავნი მყივარნი“.

ბედკრულ პოეტს ბედმა ეს მწარე, მაგრამ პოეზიით აღსავსე ბოლოც კი არ აღირსა მაშინ, როდესაც ევროპის სალირიკო პოეზიის მეხთა-მტეხმა ბაირონმა გმირულად და მამაცურად, დიდებულად დაასრულა თავისი სიცოცხლე დამონებულის ერის განთავისუფლებისათვის ატეხილ ბრძოლაში. ჩვენის პოეზიის მშვიდი ანგელოზი სადაც კანტელარიაში ჩაკვდა, ყველასაგან მივიწყებული და მიტოვებული. „უარ ყოფილი ბ დევნილი“ მეთქი ველარა ვსთქვი, რადგან ესეც კი არა ხვდა წილად, თითქო საგანგებოთ მისი უფერულისა და უბადრუკის თანამდებობის შესაფერად ებყრობოდა ბედი და ქართველი საზოგადოება და არა ისე, როგორც მის დიდებულს ნიჭს ეკადრებოდა.

ახალმა სალიტერატურო სკოლამ, რომელმაც გაიმარჯვა ამ მწერლების შემდეგ, უფრო კარგს გარემოებაში დაიწყო მოქმედება. უფრო საიმედო და სასოების აღმძვრელი იყო ის გარემოება, რომელშიაც ხვდათ მუშაობა ახალ მეთაურებს. მაგრამ წუთიერმა, თითქმის უნიადაგო იმედებმა, უფრო ღრმა სასოწარკვეთილება დაჰბადეს. მეთაურმა სკოლისამ, ნ. ბარათაშვილის პოეზიის ნამდვილმა და სახელოვანმა მემკვიდრემ, სამშობლოს დიდებულმა შვილმა „განდეგილის“ სასტიკის პესსიმიზმით დააგვირგვინა თავისი პოეზია, მან დაჰგმო ცხოვრება მისი ერისა ესეთის მძლავრის და ღონიერის სიტყვებით, რომ ქართულს პესსიმიზმს ამაზედ უფრო გაბედული და ღრმა არა შეუქმნია რა.

თ. აკაკი წერეთელი ლმობიერსა და მშვიდს პესსიმიზმს თავისის პირველის ლექსებისას ურევდა ზიზღით აღსავსე გმობას და ბოლოს ისიც-კი დასწერა, რომ „ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველოო“.

ბ. გ. წერეთელმა, უფერულისა და უშინაარსო ცხოვრების სურათებით, არაფერი საიმედო მისცა ქართველ მკითხველს, და თუ პუბლიცისტიკაში ჰაერში დასეირნობდა, ჰაერში აშენებული კოშკებით ძნელი იყო წელ მოწყვეტილი ერის გატაცება. მას უფრო საფუძვლიანი და დასაბუთებული დაჰეჯითება ეჭირვებოდა.

განსვენებულმა ალ. ყაზიბეგმა თავისი მოთხრობებით და მასთან ერთად ძმათა რაზიკაშვილთა „მთას“ მიმართეს და მთის გმირის ხალხის სურათები დაგვიხატეს. ალ. ყაზიბეგმა შეუდარებელი ნიჭით დაგვანახვა მწარე სურათი ძველის ცხოვრების დარღვევისა და მოსპობისა, ახალ გარემოებათა წყალობით, იმ გარემოებათა წყალობით, რომელიც კანონიერი მსვლელობა კი არ იყო ხალხის ცხოვრების ისტორიისა, არამედ მისი კატასტროფა იყო. ხოლო ის მამაცობა და გმირული თავგანწირულება, რომელსაც იჩენდა მთიული ამ ცხოვრების უკანასკნელ წუთებში. მეტად სასოწარკვეთილების აღმძვრელი კონტრასტი იყო ჩვენი ცხოვრებისა და თანაც მისაბაძავად ყოვლად შეუძლებელი იდეალი, რადგან ეს სიმამაცე და ვაჟკაცობა იმ ნიადაგზე იყო აღმოცენილი, რომელიც საუკუნოდ დამარხული იყო. შემდეგი თაობა მწერლებისა გვიხატავდნ გულ მომწყვეტ სურათს დევნილის და ტანჯულის გლეხ-კაცობისას, მაგრამ ამ გლეხ კაცობის სულიერის და ზნეობრივის ძლიერების დიდი რწმენა მაინც ჰქონდათ (ს მგალობლიშვილი, ნ. ლომაური, ეკ. გაბა შვილისა). სამაგიეროდ ახალგაზდა ჩვენ მწერლები (ბ. მელანია, შ. არაგვისპირ ლი, ე. ნინოშვილი, ან. ერისთავისა, დ. კლდიაშვილი) ამ შემცდარ იდეალიზ ციას გლეხობისას ანდერძს უგებენ და გვ ჩვენებენ, რომ სხვა და სხვა გარემოებათ წყალობით იქაც, იმ წრეში თუ კლასში, როგორც გნებავთ, თავმოყრილია ყოველივ სიცუდე და ბიწიერება. თუმც ნინოშვილ ამის მიზეზად სოციალურ პირობებსა ჰ დავს და ბ. კლდიაშვილი ირონიითა დ თანაც ქრისტიანობრივი სიბრალულითა დ მოთმინებით, ეპყრობა საცოდაობითა დ უმსგავსოებით აღსავსე ცხოვრებას ამა თ იმ ჯგუფისას.

ს ყველა მცხოვრებლებს გარდა მოხე-
ებისა და სამხედრო მოსამსახურებისა,
ალის და სამხედრო სურსათის ქონას.
ალი და სამხედრო სურსათი ყველამ
ა ჩაბარონს მოხელეებს 19 დეკემბრამ-

ლონდონი. საზღვაო სამინისტრომ დე-
მიიღო, რომ კონონერის ნავი
ში დაიღუპაო. ამ ნავიდან ზღვაოსნები
ა გადმოეყვანათ, რათა ბურებისთვის
შეეკრათ სტეინბონფონტენთან. ნავს
ელად კაცები გაუგზავნეს.

ურნალ-გაზეთებიდან

✻ ლონდონში უტეუარი ცნობები მოსულა
ოგიდან, რომ მრავალი ინგლისელები დიდის
ასით გროვდებიან ბურების ბაირად ქვეშ,
ა ოფიციალური ცნობები კი ხმას არ იღე-
ამ ამბავზედ.

✻ «ტაიმს»-ი აცხადებს, რომ კანადის ბირ-
მინისტრს ლორიეს არასოდეს არ მოუნ-
ია შუამავლობის გაწევა ინგლისსა და სამ-
ინგრიკის რესპუბლიკებ შუაო.

✻ «მორნინგ პოსტ»-ი, თანხმად ბიკეტბერგი-
მოსული ცნობებისა, ამტკიცებს, რომ კაბის
ეშენში შესეულ ბურებს ადგილობრივი ფერ-
ები ეოველნაირ დახმარებას აძლევენ. იმათი
ელით, თიეით, ეოველნაირი სახოვაგით ბუ-
ი ისე სარგებლობენ, როგორც თავის საკუთ-
ით; ფერმერები აძლევენ ბურებს ეოველნაირ
ებებს. ბურები ირწმუნებიან, რომ შემოსეული
ბმები მხოლოდ მოწინავე რაზმებიაო, რომ
მოჰყვება თითონ დეკეტიტაო.

✻ გერმანული გაზეთი «ბამბერგერ ფრემ-
ბლატ»-ის კორესპონდენტს უნახავს და საუ-
ბ ჰქონია გენერალი დეკეტის მეუღლესთან.
ების გმირის ცოლს უთქვამს, სხვათა შორის,
ის მოსაუბრესავით, რომ მას ომის დაწყების
ემდეგ მხოლოდ ერთხელ უნახავს თავისი ქმა-
—«ჩვენი სახლი და ფერმა ინგლისელებმა
ოვეს. მე ჩემის შვილებით მთრიეს ერთი
ოდან მეორეზედ, ჩვენი საქონელი მოიტა-
, არა გაქვს ადარც ტანსაცმელი, არც ფე-
�ელი ეხლა ვცხოვრობ სამოწყალოდ ჩემი
ობების სახლში. მაგრამ რაც უნდა გვეთან
ოსელებმა, ჩვენ, ბურების ლაღაკცები, არას-
ს არ ურჩევთ ქრმებს, რომ ბრძოლაზედ ხე-
აიღონ. ჩვენ დაგვდუმეს; უკანასკნელი ბინა
ართვეს, მაგრამ სანამ ბირში სული გვიდგა,
ამედს არ ვკარგავთ, რომ ჩვენი სამშობლო
ოდ განთავისუფლდება.

ეკეტის ორი გაუშვიდი იბრძვიან შამასთან
ად, მესამე კი ტუგედ ორის ინგლისელებთან

✻ უცხოელი გაზეთების ბოლონდელი ცნო-
ბები ჭმოწმობენ, რომ გენერალი დეკეტი ამუ-
ამად კაბის ახალშენში იმეოფება და თითონ
წინამძღოლობს ჯარებსაო.

✻ ამტკიცებენ, რომ ბურების უფროსებმა
საიდუმლო სამხედრო თათბირის დროს გადაწყვი-
ტეს დინამიტით აფეთქონ ეგეფლ მაღნები. რო-
მლებიც კი ხელში ჩაუვარდათ.

✻ კაპშტადში ხალხი თავზარ დაცემულია.
უცხოელი კონსულები შეიკრნენ 1901 წლის
9 იანვარს (ახ. ხტ.) სათათბიროდ და გა-
დასწყვიტეს დონისძიებანი მიიღონ თავიანთ
თანა-მემამულეების დასაცველად იმ შემთხვე-
ვაში, თუ ინგლისელები სამხედრო წესებს შე-
მოიღებენ კაპშტადტში. გერმანიის კონსულმა
დურიგა გერმანიის ქვეშევრდომებს პასპორტები,
რომლებშიაც გამოცხადებულია, რომ ისინი გერ-
მანიის მფარველობის ქვეშ იმეოფებიანო.

✻ ლონდონიდან იწერებიან 30 დეკემბრის
თარიღით, რომ იქ გავრცელდა მეტად საშიში
ხმები, ვითომ ბურებს განგრახვა აქვთ დაცნენ
კაპშტადტს ზღვის ქაიშიან ნაპირიდან; ამიტომ
კაბის ოდქის ინგლისის მოხელეებმა განკარგულება
მოახდინეს, რომ გემებიდან ხმელეთზედ გადმო-
იყვანონ ჯარები, კაპშტადტთან აეშენონ ორ
ბირად სიმაგრეები ხმელეთის და ზღვის მხრით.

✻ გაზ. «ინდეპენდენს ბელჟ»-ის ლონდონე-
ლი კორესპონდენტი სწერს თავის გაზეთს:
«თან და თან ეგეფლს ეტეობა, რომ მოგებზედ
შესძაგდათ ომი; თვით სამინისტროს მომხრე-
ებსაც სწადიათ ესლა, რაც შეიძლება მა-
ლე ბოლო მოეღოს ამ უბედურს და უსამართ-
ლო ომს. კარადიფიდან იწერებიან, რომ იქ მო-
უსდენიათ კრება ზავის სასარგებლოდ. კრებაზედ
დასწრებიან დეპუტატთა პალატის ბევრი წევრი
და ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე
ახლო-მახლო ადგილებიდან. კრებამ ერთხმივ და-
ადგინა რეზოლიუციაა, რომელიც სანუელს აცხა-
დებს იმის გამო, რომ მიდიტარიზმმა და შოვ-
ინიზმმა ისე გაიტაცა ინგლისის ერი, რომ
ლამის «ბედნიერ როლი» აკარონ მას ისტორია-
ში; შემდეგ რეზოლიუციაში იმედია გამოთქმუ-
ლი, რომ მთავრობა ისეთ საზავო პირობებს
დაუდებს ბურებს, როგორიც შეეფერება ამ გუ-
ლად, თავისუფლების გულმოდგინედ დამცველს
ერს. მეორეს მხრით, ბირმინგამიდან იუწყებიან,
რომ წარსულ ხუთშაბათს საქალაქო საბჭოში
დაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ ლორდ რო-
ბერტს საპატიო მოქალაქის წოდება მიეგრთვა-
თო. ამ დროს ერთი დეპუტატი წამოდგა
და განაცხადა, რომ თუ ინგლისი დაჭკარგავს
რადისმე კაბის ბრძოლინიას, ეს ზარალი მოდად
ლორდ რობერტსის წყალობა იქნებაო. იმან ისე-
თი საწტაკი წესები შემოიღო ტრანსვაალსა და
ორანჟეს რესპუბლიკებში, რომ მოელი სამხრეთ
აფრიკა ფეხზედ დაუყენა. ამისთანა მანიფესტა-
ციები ბევრს აღგილას მოხდა დიდი ბრიტანიის
სამეფოშიაო.

ახალი ამბავი

✦ ღღეს ნიკოლოზის სამხედრო ტა-
ძარში იქნება წირვა და წირვის შემდეგ
პროცესია გაემართება წყალ კურთხევაზე
მიხეილის ხიდის ზემოთ. წირვა დაიწყება
ბილის 9 საათზე.

✦ ღღეს, 6 იანვარს, ტფილისის „კრუ-
ჟოკ“-ის დარბაზში გაიმართება დიდი ბალი
ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის სასასრგებ-
ლოდ. ბალის დიასახლისად არის კნ. მ.
ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა. ბალისათვის
დიდი სამზადისია და, ეტკვს გარეშეა, მხია-
რულად და ბრწყინვალედ იქნება.

✦ თანახმად უმაღლესად დამტკიცებუ-
ლის სახელმწიფო რჩევის აზრისა, შესახებ
ბათუმისა და ართვინის ოლქების ცალკე
გუბერნიად გამოყოფისა, მთავარ-მართებ-
ლის კანცელარიაში უკვე დაუმთავრებიათ
ახალის გუბერნიის დებულების და შტატის
პროექტი. ეს პროექტი მიმდინარე თვის
განმავლობაში წარედგინება უმაღლეს მთავ-
რობას.

✦ 8 იანვრის საბჭოს მორიგ კრებაზე, სხვა-
თა შორის, დანიშნულია გამგეობის წევრის
არჩევა ნაცვლად ა. მ. არგუთინსკი-დოლ-
გორუკოვისა, რომელსაც სამსახურის ვადა
უთავდება.

✦ გუშინ ტფილისის საქალაქო გამგეო-
ბის სხდომაზე გადაწყდა დააარსონ ორი ექი-
მის თანამდებობა საქალაქო სასწავლებელ-
თათვის; თითოეულს დაენიშნება წელიწად-
ში 900 მ. ჯამაგირი და 300 მან. მის-
ვლა-მოსვლისათვის; დაარსებულ იქნება
აგრეთვე ორი ფერშლის თანამდებობა. გამ-
გეობის წევრი შესტაკოვი ამ დადგენილე-
ბის წინააღმდეგ საჭიროდ არ სთვლის გან-
საკუთრებულის თანამდებობის დაარსებას,
რადგანაც მოვალეობის ასრულება ქალაქის
ექიმებსაც შეუძლიანთო. ეს საქმე გადეცე-
მა გადასაწყვეტად საბჭოს.

✦ ტფილისის გუბერნატორმა გაჰყო ქა-
ლაქი სამ ნაწილად და თითოეული ნა-
წილი ჩააბარა ცალკე ვეტერინარს. ამასთა-
ნავე გადასწყდა ცალკე დგილას გაიყვანონ
ავადმყოფი საქონელი და დაადგინონ კარან-
ტინი მორეკილ საქონლისათვის.

✦ როგორი სიფრთხილით ეკიდებიან
ქალაქის ახლანდელი პატრონები ქალაქის
საქმეებს, სხვათა შორის, შემდეგ უცნაური
მაგალითიდანაც სჩანს: გუშინწინ დანიშნუ-
ლი იყო სხდომა ერთი კომისიისა, „ასსა-
ხილველად სხვა და სხვა საგნებისა“. კომი-
სიის უმეტესი ნაწილი კრებაზე არ მოვიდა,
მაგრამ მონაწილეობა მიიღო თანამდებო-
ბაზე არჩევნებში, რომელიც კომისიამ მოა-
ხდინა. მათ თავისი კანდიდატების სახელები
ტელეფონებით შეატყობინეს კომისიას. უც-
ნაური მოხმარება ტელეფონისა, თუ გინ-
დათ ეს არის.

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიას-
თან არსდება პედაგოგიური კურსები საეკ-
კლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებელ-
თათვის.

✦ ჩვენი თანამემამულე, ცნობილი ფი-
ზიოლოგი ივ. რ. თარხნიშვილი პარიზის
გამოფენიდან დაბრუნების შემდეგ იანვარში
დაიწყებს თვისი პოპულიარული ლექციების
კითხვას ბიოლოგიის შესახებ. პირველი
ლექცია დანიშნულია ეგრედ წოდებულ
„სოლიანი გოროდოკში“, პეტერბურგის
სახალხო უნივერსიტეტში, 15 იანვრისათ-
ვის და მარტის დამლევამდე წაიკითხავს
10 ლექციას. ამ ლექციებს იგი მესამე წე-
ლიწადია კითხულობს და მისი აუდიტორია
მუდამ სავსეა მსმენელებით.

✦ ტფილისში არსდება სახლების ამშე-
ნებელი არტელი; წესდება უკვე წარედგი-
ნა ადგილობრივ ადმინისტრაციას დასამ-
ტკიცებლად.

✦ ტფილისის საოლქო სასამართლოს
ბრალმდებელმა წარუდგინა სასამართლოს
საქმე ს. გრაკალთან მომხდარ უბედურების
შესახებ. ბრალი ედება სადგურ გრაკ-
ლის აგენტს კეზელს.

✦ ხუთშაბათს, 4 იანვარს, ქალაქის გამ-
გეობის დარბაზში სხდომა ჰქონდა ქალაქის
სასწავლებელთა გამგე კომისიას, რომელსაც
განსახილველად ჰქონდა ხუთი-ექვსი საქმე;
ამ სხდომაზედ მოასწრეს მხოლოდ ერთი სა-
ქმის განხილვა, სახელდობრ: ქალაქის სკო-
ლების მოსწავლეთათვის შობის ხის გასა-
მართავად დახარჯულ ფულის ანგარიშის
შესახებ. კომისიას შობის ხის გასამართავად
დახარჯვია სულ 964 მან. 72 კაპ. და
ამ საქმისათვის გადადებულ ფულებიდან
გადარჩენია 105 მან. 28 კაპ., რომლის
შესახებაც კომისიამ დაადგინა მიემატოს
იგი იმ 300 მან., რომელიც გადადებულ
იყო ქალაქის სასწავლებლებისათვის ფანა-
რების შესაძენად. ამავე სხდომაზე
კომისიამ დაადგინა მადლობა გამოუცხადოს
ყველა იმ პირთ, რომელთაც დახმარება გა-
უწიეს კომისიას შობის ხის გამართვაში.

ილია ჭავჭავაძის პესსიმისტიური შე-
ულება ჩვენი ცხოვრების შესახებ „აჩრ-
ესა“ „განდეგილსა“ და „საქართველოს
ერამეტე საუკუნის ისტორია“-ში გა-
ემული შეუდარებელი იყო და მისი
ეარბება აზრითა და ფორმით არავის
ლო, ახალმა ჯგუფმა ჩვენი მწერლე-
ამ ეს პესსიმიზმი მთელ ცხოვრებაზე
ოიტანეს და რადიკალური უარ-ყოფით
ეკურნენ არა მარტო კაცის ცხოვრებას,
ედ მთელ ბუნებას, ბუნებისა და კაც-
შორის დამოკიდებულებას და, ბოლოს,
ი აზრს კაცისას და ამ აზროვნებით
ნილს ლოგიკურს კათეგორიებს. ყოვე-
ვ ბოროტების მომასწავებელია და
ოტების თესლის მატარებელი კა-
ცხოვრება, ბუნების მოვლენა, კაც-
შორის ურთიერთობა, კაცის აზრი,
ს აზრით შექმნილი აბსოლუტური იდე-
ბ. არაგვისპირელმა კაცის ცხოვრება
აზრი „სისულელედ“ მონათლა და დაჰგ-
ყოველივე მოვლენა ცხოვრებისა, სიყ-
ული, მეგობრობა, კავშირი მშობლიუ-
და ნათესაური, ყოველივე ეს ოცნებად
ია, რომლის რეალური განხორციელება
ზლარი სიბინძურეა, ყოველივე ამ მოვლე-
თავზარ დამცემი სურათი მოგვცა. ბ. დე-
ოზიშვილმა ბუნებისა და კაცის და თვით
კაცთა შორის ამართული კედელი დაგვანახვა
და ნაზ სევდებით აღსავსე დამამტკიცებელი
სურათი მოგვცა ამ საშინელებისა. ბ. ივ. ზუ-
რაბიშვილმა კაცის აზრის გაუმაძღრობის სი-
ბავშვე და უნიადაგობა დაგვანახვა და კაცის
ცხოვრების დიად მოვლენათა უბადრუკი და
უმნიშვნელო მსვლელობის სატირიულ მოწ-
მედ დასახა კაცის აზრისაგანვე შექმნილი
წარმოდგენა დროისა. პოეზიაც (ევდოშვილი,
ცახელი, განდეგილი) იმავე კვალს აღგვა,
იგივ უსასოება, იგივ ძირითადი, რადიკალური
უიმედობა თუ ხანდისხან წამოსცდებათ რაი-
მე სანუგეშო ჩვენს პოეტებს, მეორე წუთს
ერთი ორად სასოწარკვეთილი გოდებენ (გრ.
აბაშიძე).

ამგვარია არსებითი მიმართულება, რომ-
ლითაც წარუდგა ჩვენი ლიტერატურა ახალს
საუკუნეს. ამ საუკუნეს ჩვენმა ლიტერა-
ტურამ სავსებით ამცნო კვნესა, გოდება
და უსასოება: დაანახვა, რომ ცხოვრების
უსასო მდგომარეობამ აზრი წარგვიწყმინ-
და და გრძნობა მოგვიწამლა, სასოწარკვე-
თილებაში ჩაგვაგდო და მთელს ქვეყნიე-
რობაზე მატერიალურის და იდეალურის
თვისების ყოველივე მოვლენაზე გული გა-
გვიტეხა.

გავამტყუნოთ თუ არა ჩვენი მწერლობა
ამისთვის და გავკიცხოთ თუ არა ჩვენი მწერ-
ლები? სრულიადაც არა. ნიჭიერი მწერალი
ვაჭარი ხომ არ არის, ის ფართალი ეძიოს,
რომელიც უფრო გასაღდება. იგი გამომსახ-
ველია ეპოქის მიმართულების, ერის კვნესა-
გოდების, მისი მხიარულების, იმედების, სა-
სოების, სასოწარკვეთილებისა და უსასოე-
ბის, სევლებისა და ვარამის, გამომხატველია
იმ აზრების, რომელიც დატრიალებს ერში
და რომელიც შეგნებული აქვს მას, რო-
გორც ნიჭიერ არსებას, იმ გრძნობების
აღმძვრელია, რომელსაც მისი ნიჭიერების
ნაზი აპარატი სავსებით აღბეჭდავს ხოლმე
და თანაც მომავლის შემგნები და შემთვი-
სებელი, მომავლის წინასწარმეტყველიც
არის.

აბა რა ნება აქვს ც ურის მადლით მოსილს
მწერალს გამაძღარის, უდარდელის და უაზ-
რო ბურჟუას ოპტიმიზმით იტყუოს თავი და
სხვებიც ატყუოს. ვისა აქვს ნება, სამხიარუ-
ლო ჰანგები შემოსძახოს, როცა სამგლოვია-
რო ზარი ისმის მისი მეგობრისა და მეზობ-
ლის ოჯახში. რომელი პირუტყვი იქნება,
მტრის ცხედარიც რომ დაინახოს, სევდით არ
აღივსოს, გაითვალისწინებს რა უარაოობას
და უშინაარსობას ცხოვრებისას.

არა ერთხელ გვითქვამს — ისტორია იმის
დამამტკიცებელია, რომ საღი პესსიმისტიური
შეხედულება ცხოვრებაზედ უფრო ნაყოფიე-
რია, ვიდრე ბალღური ოპტიმიზმი, რომელ-
საც საუკუნოდ წესი აუგია მეთვრამეტე სა-
უკუნის გენიოსმა — ვოლტერმა. პესსიმისტიუ-
რი შეხედულება ცხოვრებაზედ სრულიად არ
აძლევს არავის ნებას გულზედ ხელი დაიკ-
რიბოს და ცხოვრებას გვერდზედ გაუდგეს.
ჩვენის ლიტერატურის დიდებული წარმომა-
დგენელნი გვაძლევენ ამის მაგალითს. ილია
ჭავჭავაძემ „განდეგილობა“ თითქმის გაამარ-
თლა, რაკი ცხოვრების საოცრად მკაცრი
და სასოების წარმკყეთი სურათი დახატა, მა-
გრამ თანაც დასაჯა „განდეგილი“ ამ ცხოვ-
რების მოშორებისათვის, რადგანაც, მისი აზ-
რით, ცხოვრებიდან გაქცევა ყოვლად შეუძლე-
ბელია და მოუხერხებელი, და ამიტომ ამ
ცხოვრების მძიმე ტვირთის ზიდვა მიუცილე-
ბლად დასახა. ხოლო ჩვენის ლიტერატურის
სულმნათმა დიდებამ ჩვენს ლიტერატურას და
ცხოვრებას ეს მოძღვრება უანდერძა, რომე-
ლიც წმინდად და შეუბღალავად უნდა და-
ვიცვათ მომავალ საუკუნეებშიაც:

„რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,
„უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა“.

კიტა აბაშიძე.

✦ ტფილისის სასულიერო სამისიონერო ძმობის თავმჯდომარედ არქიმანდრიტ გერმოგენის მაგიერ დაინიშნა მ. სერგი გოროდცევი.

✦ დუშეთიდან გვწერენ: „დუშეთს ძლივს ელირსა გამოლვიძება; ერთ კვირის განმავლობაში ორი გასართობი მასალა გაუჩნდა: სცენის მოყვარულებმა ბარბარე გლახას ასული იაშვილის თაოსნობით, საქველ მოქმედო მიზნით, ითამაშეს „ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწილდნენ“ და ჩვენმა მომღერალმა ალექსანდრე კავსაძემ ადგილობრივი გალობის მოყვარულთა შემწეობით კონცერტი გამართა. წარმოდგენას არა უშავდა რა, და გაშგე იაშვილისა მადლობის ღირსია, რომ კეთილ-სასარგებლო საქმისთვის ჯაფას და შრომას არ ჰზოგავს.

ბ. კავსაძის კონცერტის პროგრამმა ქართულ-რუსულ სიმღერებიდან შესდგებოდა. საზოგადოებას ისე მოეწონა კონცერტი, რომ თითქმის ყველა ნომერი გაამეორებინეს და ტაშის ცემით დააჯილდოვეს. საზოგადოთ, ბ. კავსაძეს ტკბილი ტენორის ხმა აქვს და აბა რაღა თქმა უნდა, რომ „გადმიშვი მთაო“ ხალხს აღტაცებაში მოიყვანდა.

✦ კვირას, 7 იანვარს, ვეტცელის თეატრში სომეხთა დრამატიულ დასის დამსახურებულ არტისტის ქ-ნ ვარდუის მეთაურობით წარმოდგენილ იქნება ა. ცაგარლის 3 მოქმედებიანი ცნობილი კომედია „ხანუმა“, რომელიც სომხურად გადასთარგმნეს ამ 5 წლის წინად. წარმოდგენაში, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს ტასო აბაშაძე და სომხის ნიჭიერი კომიკი ტერდავითიანი და სხვანი .

✦ კვირას, 7 იანვარს, ავჭალის ქუჩაზე, სახალხო თეატრში, სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქმნება კომედია „ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწილდნენ“. დასასრულ, ნაჩვენები იქმნება ბუნდოვანი სურათები ჩინელთა ცხოვრებიდან. წარმოდგენა საღამოს 7½ საათზე დაიწყება.

✦ ღორის ხორცის ახალი ნიხრი: პირველ ხარისხის—14 კაპ. გირვანქა, მეორე ხარისხის (საკატლეტო ნაწილი)—11 კაპ. და მესამე ხარისხის—9 კაპ.

✦ ამ რამდენიმე ხნის წინად ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელმა ბ-ნმა რცხილაძემ განცხადება შეიტანა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიაში, რომელშიაც, ასახელებდა რა სხვა და სხვა მიზეზებს, რამაც იძულებულ ჰყო იგი სამსახურისათვის თავი დაენებებინა, სთხოვდა, რომ მისი განცხადება კომისიას დაწვრილებით განეხილა და მაზედ თვის მსჯავრი დაედო. კომისიამ ეს განცხადება უყურადღებოდ დასტევა და დავიწყებას მისცა. ეხლა ამავე განცხადების შესახებ სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს აღუძრავს კითხვა, რომ იგი კომისიას განეხილა. კომისიამ დირექტორის მოხსენება განიხილა გუშინწინ, 4 იანვარს, ⁄ დაადგინა გადასცეს ბ-ნ რცხილაძის განცხადება მცირე კომისიას, რომელმაც უნდა შეჰკრიბოს ყველა საჭირო ცნობები განცხადების შინაარსის თანახმად და წარუდგინოს ახლო მომავალში გამგე-კომისიას განსახილველად. ჩვენ ხელი არ მიგვიწვდა გაგვეგო საქმე—რაშია. გვიკვირს, კომისია რომ ამ საქმეს ხან აქეთ და ხან იქით ატრიალებს და დღემდე დასასრული არ მისცა.

✦ დეპეშით გვატყობინებენ, რომ საქართველოს სამხედრო გზაზე, გუდაურსა და კობს შუა, ზვავი ჩამოწოლილა და გზა შეკრულა; ყაზბეგსა და მლეთს შუა გზა გაწმენდილია.

✦ ბ-ნ დ. გოჯიევი დიდს მადლობას უცხადებს ყველას, ვინც კეთილ-ინება და თიანეთის წიგნთ-საცავს ფული შესწირა. სია შემომწირველთა: თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილმა—5 მან., ს. ს. გამრეკელმა—10 მან., დ. ს. ჯავახიშვილმა—5 მან , ვ. კეკლიშვილმა—1 მან., დ. ვ. როსტომაშვილმა—1 მან., ვ. ბაცეკიჩმა—1 მ , გ. ჯაჯვაძემ—1 მან., გ. ცისკარაშვილმა—1 მ., ი. ოზიაშვილმა—90 კაპ , დ. ცისკარაშვილმა—50 კ., ოსიტაშვილმა—50 კაპ. და გ ს. იმნაიშვილმა—50 კაპ.. ადნიშნული ფული გ. ზ. ნამორაძეს გადაეცა.

✦ პოლიციის მერვე ნაწილის ბოქაულად, გოტჩინის მაგიერ, რომელიც დროებით რუსეთში წავიდა, დაინიშნა მისი თანაშემწე ნოდოსადოვი

პრესა

დ-რ პანტიუხოვის წიგნში „Кобулеты, какъ приморскій курортъ“, სხვათა შორის, ჩვენ ვკითხულობთ გურულების დახასიათებას:

„გურული ტიპი ერთი ულამაზესთაგანია. გურული—ტანადი, მარჯვეა; მისი მოძრაობა და მანერები კეთილშობილურ ღირსებებით აღსავსეა; სახე მეტყველი; გამოხედვა—გაბედული, დაკვირვებული და სერიოზული. გურული მეტად თავაზიანი და ზრდილობიანია... იგი ფიცხი, ჩქარი და გაბედულია; გატაცების დროს მას შეუძლია გმირული და თავზე-ხელაღებული რამ ჩაიდინოს, ყაჩაღობის დროსაც-კი ზრდილობიანად იქცევა იგი... და წარმოიდგენს არა მარტო ავაზაკს, არამედ ავანტიურისტს და რაინდსაც-კი, რომლითაც აღტაცებაში მოდიან მისიანები... გურული მუსიკის დიდი მოყვარულია; იგი ბუნებით პოეტი და იმპროვიზატორია; მას უყვარს სიმღერა და თამაში. თავისებური, გრაციით სავსე მელოდიები გურულებისა სრულებით არ ჰგავს კავკასიის სხვა ტომთა, ამათ რიცხვში ქართველების (?!), მელოდიებს და სრულებით არ არიან უცხოევროპიელის სმენისათვის. რამდენად გასაგებია და ახლო გურულებისათვის ევროპიული მუსიკა, ამტკიცებს ის არაჩვეულებრივი სიადვილე, რომლითაც იგი სწავლობს ამ მუსიკას. თითქმის ყოველი გურული, ხშირად წერა-კითხვის არ მცოდნე, ორ-სამ თვეზე რომელიც გინდა ინსტრუმენტზედ და აქამდე მისთვის უცხო მელოდიებს... ასრულებს ისე, როგორც შეუძლია შეასრულოს დამკვრელს, რომელსაც ნაგრძნობი აქვს ეს მელოდიები. გურულების ორკესტრებს იცნობენ რუსეთშიაც და უცხოეთშიაც...

ქობულეთელ-აჭარელი ტანით უფრო დიდია და სულის განწყობილებითაც განირჩევა ნამდვილ გურულისაგან. გარდა ანტროპოლოგიურ მიზეზებისა, ეს გარემოება აიხსნება მაჰმადის სჯულის გავლენითაც... აჭარელი არ არის გურულსავით მუსიკის მოყვარე. სასტიკი მოლები ხშირად უკრძალავდნენ მას სიმღერას, როგორც ცოდვის ჩადენას. აჭარელი უფრო ანგარიშიანია და გულჩახვეული, განსაკუთრებით როცა გიაურებთან აქვს საქმე. ოსმალეთიდან მოსული მოლები ასწავლიან აჭარელებს ოსმალურს, ხურამენ მათ ფესს... და სცდილობენ დააშოროონ ისინი გურულებს.

მეტი განსხვავებაა კიდევ ქალების ტიპებს შორის. როგორც გურული, ისე ქობულეთელი ქალიც, მეტად ლამაზები, ნაზისა და წმინდა გამომეტყველ სახის პატრონები არიან. ესენი უნდა ჩაითვალონ უმშვენიერეს ქალებად მთელ ქვეყანაში. შესაძლებელია, რომ მაჰმადიანთა სამოთხის გურიები გურული და აჭარელი ქალები იყვნენ. მაგრამ გურული ქალის ტიპი უფრო ფაქიზი, სუფთა და ხატვრულია, ვიდრე აჭარელი ქალისა. გურული ქალი, დიასახლისია იგი თუ ოჯახის საყვარელი შვილი, თავისუფალია, იგი არავის ემალება, ყველასაგან პატივცემულია და თავის თავის ფასი იცის; მას არ ეშინია, არც დიდი ვინმესი, არც მოლასი და ყველასთან ერთ-გვარად თავაზიანია... თითქმის ყოველი გურული ქალი პოეტი და იმპროვიზატორია. ჩვენ რამდენჯერმე გაგვიგონია მეტად ხელოვნური იმპროვიზაციები უბრალო უსწავლელ გლეხის გოგოებისაგან. გურული ქალი უმღერის და ამკობს ლექსებით სხვა-და-სხვა საგნებს. გაშლილ ვარდს, ფრინველს, თავის სავარცხელს და სხვას. ეპიურის და გმირულ ხასიათის სიმღერები ჩვენ არ გაგვიგონია. გურულ ქალის სიმღერას და იმპროვიზაციას არ ეტყობა ნაძალადევობა, იგი მარტივი, თავისუფალი და ლამაზია; იგი მთელი ჩანჩქერი, მთელი ზღვაა პოეზიისა. ყურადღების ღირსია ის გარემოებაც, რომ სიმღერის დროს გურული ქალი სრულებით არ იმანჭება და იგრიხება, იტალიელ მომღერალ ქალივით.

სულ სხვა გარემოებაშია აჭარელი ქალი. ისლამი მას უკრძალავს ეჩვენოს ვისმე, იგი დამწყვდეულია სახლში და სიმღერაც-კი აკრძალული აქვს... ყოველ შემთხვევაში მას აგრძნობინებენ, რომ იგი დაბალი, დამორჩილებული არსებაა. ამ პირობებში ტიპის ბევრი სულიერი თვისებანი თან და-თან ჰქრებიან, და ქობულეთელი ქალი მონად იქცევა. ყურადღების ღირსია, რომ უძველესი დროიდან როგორც გურული, ისე აჭარელი ქალიც სოლების შემოღებამდე ითვლებოდა ეროვნულ კულტის მფარველებად, ქალმა უფრო კარგად იცოდა წერა-კითხვა და ადგილობრივი ლეგენდები და გადმოცემანი.

როგორც გურული, ისე აჭარელი ქალიც მშვენიერი დიასახლისები არიან, მაგრამ არ ეხმარებიან ქმრებს ყანაში მუშაობის დროს. ხალხის ტრადიციით, ქალის ამგვარი შრომა შეუფერებელი და ურიგოა...

უდიდეს ზიანს აყენებენ ამ მშვენიერ ხალხს ოსმალეთიდან მოსული მოლები, რომელნიც სცდილობენ პანისლამისმის გულისათვის მრუსპონ ხალხს თვისებურობა, ეროვნული ზნე-ჩვეულება, სიმღერები და ენა“.

სწორედ სასიამოვნო აღსანიშნავია, რომ ბ-ნი პანტიუხოვი, რომელსაც ჩვენ ბევრში არ ვეთანხმებით, ასეთის სიმპატიით ლაპარაკობს შავი ზღვის პირის ქართველებზე და სწუხს, რომ სხვა ქვეყნიდან მოსული მოლები სცდილობენ მათ გადაგვარებას. პანტიუხოვთან ერთად ჩვენც ვიტყვით, რომ დიდათ და დიდათ საზარალოა ერისათვის, როცა ვინმე სცდილობს მის თავისებურობის მოსპობას და გადაგვარებას.

ბ-ნ პანტიუხოვის „Кобулеты, какъ приморскій курортъ“ იბეჭდებოდა ფელეტონებად გაზ. „კავკაზში“.

* *
*

„ევერიის“ მეოთხე ნომერში დაბეჭდილია სტატისტიკური ცნობები რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში ქართველ მოსწავლეების შესახებ. სამწუხაროდ, ცნობები არ არის მოსკოვში და პეტერბურგში მოსწ ვლეთა შესახებ. გარდა ამ ორ ქალაქისა, უმაღლეს სასწავლებლებში ქართველ მოსწავლეთა რიცხვი არის 183; ამათგან თავადია—18, აზნაური—86, სამღვდელო წოდების 44, მოქალაქე—11, გლეხი—15, ამათგან იურიდიულ ფაკულტეტზე ყოფილა 41, სამკურნალოზედ—70, საფიზიკო—სამათემატიკო—14, ისტ.-ფილოლ.—3, საბუნებისმეტყველოზედ—25, კბილის საექიმო კურს.—4, ტეხნოლ. ინსტ.—5, ფარმაცევტი—2, აკადემიელი—3 (კაზანის აკადემიის სტუდენტების შესახებ ცნობები არ არის მოყვანილი), საბეითალო ინსტიტუტში—14, ამათგან საკმაოდ უზრუნველ ყოფილა—112, ნახევრად გაჭირვებულ—29, გაჭირვებული—33.. საჭიროა მოსკოვისა და პეტერბურგში მოსწავლეთა შესახებაც გამოქვეყნდეს ცნობები.

თეატრი

ქართული წარმოდგენა. „ფული და ხარისხი“ აზიანისა და „მშვენიერ ელენეს მაძიებელნი“. ქ-ნ ტასო აბაშიძის ბენეფისი. იშვიათად შეუსრულებიათ ჩვენ არტისტებს რომელიმე პიესა ისე კარგად და ისეთის ანსამბლით, როგორც მათ შეასრულეს აზიანის „ფული და ხარისხი“. 14 მომქმედ პირთა შორის ვერც ერთზე ვერ ვიტყვით, რომ ცუდად ითამაშა, არ ვარგოდა თქო. ქართველი მკითხველი დამიჯერებს რომ ვსთქვა, რომ ეს სწორედ მეტად იშვიათი მოვლენაა ჩვენ სცენაზე თქო. ეს არა ჩვეულებრივი მოვლენა, გარდა არტისტების შრომისა და უნარისა, უნდა მიეწეროს თვით პიესის ღირსებასაც. მართალია, პიესის ტემა ძველთა-ძველია, მაგრამ ჯერ იგი არ დაბერებულა და ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს ძველი ტემა ახალ, ჩვენის დროის შესაფერ სამოსელში გვიჩვენა. როგორც ძველ პიესებში, აქაც ბედოვლათ ქართველ თავადიშვილსა და გაიძვერა ყაირათიან სომეხს ვხედავთ, მაგრამ ეს ბედოვლათი ქართველი, მამაცა და შვილიც, ჩვენის ეხლანდელის ცხოვრების შვილია. მამას (გამყრელიძე) კარგად ესმის ეხლანდელ დროის ვითარება; ჰხედავს, როგორ იღუპება მისი და მისთანების საქმე, მაგრამ თავის ხსნა არ შეუძლია; სცდილობს შვილი (შათირიშვილი) მაინც გამოიყვანოს საიმედო გზაზე, ასწავლოს მას, მაგრამ შრომა და ფული ტყუილად ეღუპება: შვილი ყველა სასწავლებლიდან გამოაგდეს და სახლში დაბრუნდა ცარიელ-ტარიელი, დიდი მადის პატრონი. აქ იგი შეახვდება ... ვის თავქარიან ბიძაშვილს (სვიმონიძე) მასთან ერთად შეაგდებს ... ყვნილებას. აწეწილ-აწეწილ საქმეებს სასწორებლად ახალგაზდა თავადის შ ... ბი სცდილობენ შერთონ თავის შვილს მ ... დარი სომხის (ვ. აბაშიძე) ქალი (ტ. ... შიძე) და აღწევენ კიდეც თავიანთ მიზ ... ფილიანცის ცოლისა (ნ. გაბუნია-ცაგ ... ლისა) და ქალის შემწეობით. უსაქმურ ... და მოქეიფე თავადიშვილმა მალე შეკ ... ცოლის მზითევი და სიმამრს მუდამ ფულ ... ბსა სთხოვს და როცა უარს მიიღებს, მ ... კვლას ემუქრება. ბოლოს, ერთი ქეიფ ... დროს, ჩვენი დროის რაინდს ვიღაც შემ ... აკვდება და, რასაკვირველია, შესაფერი ს ... ჯელი უნდა გარდაიხადოს.

თ. ლევან და კოწია ღამბაძენი ჩვენ ... უხეირო და მოუწყობელის ცხოვრებ ... ღვიძლი შვილები არიან. ესეთი ტიპი ... მკაფიოდ და ასეთის სინამდვილით ჯ ... არავის დაუყენებია ჩვენ თვალწინ და ამ ... ქ-ნმა აზიანმა სამსახური გაუწია ჩვ ... თვით-ცნობიერებას. მახინჯი ცხოვრებ ... მახინჯი შვილნი მთელის თავის სიგ ... ძე სიგანით საზოგადოების თვალწ ... წამოჭიმულნი საშინელ და საზარელ შთ ... ბეჭდილებას ახდენენ მაყურებელზე და ბეჭ ... მწარე ფიქრს აფიქრებინებს. გაიძვერა ... ხალხის სისხლის მსმელ ფილიანცთან ერ ... თად შენც გასურვებინებს, რომ რაც ... რე მოისპობიან ამა თუ იმ საშუალებ ... ამისთანა პირები, მით უკეთესი იქნებ ... შათირიშვილმა და სვიმონიძემ სავსებ ... დაგვიხატეს ეს ჩვენი დროის გმირები. გა ... საკუთრებით შათირიშვილმა ისეთი ძლიერ ... რეალიზმით ითამაშა თავიზი როლი, რ ... არა მგონია ავტორმა ისურვოს უკეთეს ... შემსრულებელი.

ფილიანცის როლი ვ. აბაშიძემ ... მისი ცოლის სოფიოს როლი ნ. გაბუნ ... ცაგარლისამ შეასრულეს ისე, როგორ ... ეს მათ ნიჭს მოეთხოვება.

მობენეფისეც კარგი იყო, განსაკუთრ ... ბით იმ სცენაში, სადაც იგი არჩევს, თ ... როგორი საშუალებით სჯობია თავის მოყ ... ლა (მამა წინააღმდეგი იყო წაჰყოლოდ ... იგი ქართველ თავადს): აქ ტ. აბაშიძ ... ხელოვნურად დაგვიხატა თვალწინ ჩვენ ... ბურ უნიადაგო გიმნაზიებში უნიადაგო ... აღზრდილი ქალის „სულის კვეთება“ ... „მსოფლ-მხედველობა“.

დანარჩენები მშვენივრად უწყობდნ ... ხელს ანსაბლს, განსაკუთრებით ბ. გამყრ ... ლიძე და კანდელაკი

„მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“ უშ ... ნაარსო და ჩვენი ცხოვრების ყოვლად შეუ ... ფერებელი ფარსია, მასთან მეტად გაჭი ... ნურებული და ამიტომ კარგი იქნება, თ ... იგი ჩვენი რეპერტუარიდან განდევნილ ... იქნება.

დივერტისმენტი და მერე ოპერეტის არ ... ტისტებისაგან შესრულებული. ქართულ თ ... ატრს არ შეშვენის და კარგი იქნება, თ ... ამას ადათად არ შემოიღებენ ჩვენი მობ ... ნეფისეები.

მონეფისეს საზოგადოება, განსაკუთრ ... ბით მოსწავლე ახალგაზდობა, აღტაცებ ... მიეგება და რამდენიმე საჩუქარი მიართვ ...

აქ არ შეგვიძლია არ ვუსაყვედურო ... ქართველ საზოგადოებას ერთი რამ წარსულ ... ლი: ნიჭიერსა და ქართულ სცენის მოღვ ... წეს ქ-ნ ეფ. მესხისას არც ერთი საჩუქარ ... არ მისვლია მის ბენეფისზე, მაშინ როდ ... საც ნაკლებ ნიჭიერებს და ნაკლებ დამსა ... ხურებულს ცოტა რამ მაინც მისდის ხოლმ ...

დასასრულ, ვუსურვებთ ჩვენ არტისტებ ... პიესების კარგად შესრულება დაჰკვებებოდ ... ამ წლის განმავლობაში.

რედაქტორი ალ. ჯეონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Дозволено цензурою Тифлисъ. 5 Января 1901 г.
სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.